INTERNEWS GEORGIA

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ახალგაზრდები სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის

პროექტის აღწერა

პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ამომრჩევლების აქტიურობის ზრდას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ ინფორმირებას და საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას, რათა გაიზარდოს არჩევნებში მათი ჩართულობა.

პროექტი ითვალისწინებდა ახალგაზრდების გააქტიურებს სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიის წარმოების მეშვეობით: საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმები, ტრენინგები, ახალგაზრდებთან შეხვედრები, საინფორმაციო ფლაიერები.

პროექტის მიზნები

ახალგაზრდა ამომრჩევლის ინფორმირება საარჩევნო უფლებების და მოვალეობების შესახებ

არჩევნების პოპულარიზაცია და ახალგაზრდების პროცესებში ჩართულობის ზრდა

სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება

ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდების როლზე სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების პროცესში

პროექტის შედეგები

მომზადდა 6 საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „არჩევანი და ახალი თაობა“, რომლებიც გადაღებულია თბილისსა და საქართველოს 6 რეგიონში

მოეწყო შეხვედრები და დისკუსიები ახალგაზრდებთან 7 ქალაქში: თბილისი, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, თელავი

პროექტის შედეგები

დოკუმენტური ფილმები ნაჩვენები იყო 6 რეგიონალური მაუწყებლის ეთერით: „რიონი“ (ქუთაისი), „თრიალეთი“ (გორი), „25-ე არხი“ (ბათუმი), „ოდიში“ (ზუგდიდი) , „თანამგზავრი“ (თელავი), „მე-9 არხი“ (ახალციხე)

ტრენინგზე „სამოქალაქო განათლება“ 12 მონაწილემ (6 რეგიონებიდან - 6 თბილისიდან) აიმაღლა ცოდნა საარჩევნო თემების ირგვლივ

სპეციალური კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 143 ახალგაზრდა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გამოგვერკვია მათი პასიურობის მიზეზები და შეხედულებები

განხორციელებული აქტივობები

ტრენინგი ახალგაზრდა აქტივისტებისთვის

„სამოქალაქო განათლება“

2 დღიანი ტრენინგი მიზნად ისახავდა საარჩევნო თემების ირგვლივ ცოდნის ამაღლებას, საარჩევნო სისტემების და პროცედურების განმარტებას ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობაზე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში. მასში მონაწილეობა მიიღო 12 ახალგაზრდა აქტივისტმა (6 მონაწილე რეგიონებიდან, 6 - თბილისიდან). ტრენინგის ბოლოს გაიცა სერთიფიკატები.

განხორციელებული აქტივობები

მომზადდა 6 დოკუმენტური ფილმი

- ***არჩევანი და ახალი თაობა*** - მოგვითხრობს არჩევნების ისტორიასა და მნიშვნელობაზე. თუ რა მნიშვნელობა აქვს არჩევნებს დემოკრატიის განვითარებისთვის, როგორია ზოგადად საარჩევნო პროცესები და პროცედურები. არის თუ არა არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩევლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ვის წინაშე არიან არჩეული ორგანოები ანგარიშვალდებულები.
- ***არჩევანი და ახალი თაობა - პანკისი*** რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონი. ფილმში აღწერილია თუ რა პრობლემები ექმნებათ ახალგაზრდა ამომრჩევლებს და როგორია ქალი ამომრჩევლების მდგომარეობა.
- ***არჩევანი და ახალი თაობა - გორი*** როგორ არიან ახალგაზრდები ინფორმირებულები არჩევნებთან დაკავშირებით, რას ცვლის მათთვის არჩევნები და რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით რეგიონში დასახლებული დევნილები.

განხორციელებული აქტივობები

მომზადდა 6 დოკუმენტური ფილმი

- ***არჩევანი და ახალი თაობა -ახალციხე*** რამდენად ინფორმირებულები არიან ადგილობრივი ახალგაზრდები საარჩევნო სისტემების, ქვეყანაში არსებული მმართველობის ფორმის შესახებ; იციან ვინ არის მათი მაჟორიტარი და ზოგადად რა ფუნქციები ეკისრება მას? არჩევნებში ჩართულობის პრობლემები, რა უშლით ხელს იყვნენ უფრო აქტიურები
- ***არჩევანი და ახალი თაობა - ზუგდიდი*** სამეგრელო ცნობილია, როგორც ყველაზე აქტიური არჩევნების დროს. შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტები ხშირად ცდილობენ ამ რეგიონის ელექტორატზე მუშაობას. როგორ არიან ახალგაზრდები ინფორმირებულები არჩევნებთან დაკავშირებით, მონაწილეობენ თუ არა საარჩევნო პროცესებში და რა აწუხებთ აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებს.
- ***არჩევანი და ახალი თაობა - რაჭა*** რეგიონი, რომელიც თითქმის არ შუქდება ნაციონალურ ტელევიზიებში. აქ ნაკლებად არიან ახალგაზრდები და რა პრობელმები აწუხებთ მათ.

განხორციელებული აქტივობები

ფილმები გავიდა 6 რეგიონალური ტელეკომპანიის ეთერში

1. „რიონი“ - ქ. ქუთაისი
2. „თრიალეთი“ - ქ. გორი
3. „25-ე არხი“ - ქ. ბათუმი
4. „ოდიში“ - ქ. ზუგდიდი
5. „თანამგზავრი“ - ქ. თელავი
6. „მე-9 არხი“ - ქ. ახალციხე

განხორციელებული აქტივობები

მოეწყო 7 შეხვედრა ახალგარზდებთან თბილისსა და რეგიონებში (ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, თელავი, ახალციხე)

ნაჩვენები იქნა პროექტის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტური ფილმები

გაიმართა დისკუსიები, სადაც გამოიკვეთა ახალგაზრდების პასიური მონაწილეობის და ნიჰილისტური განწყობის ძირითადი მიზეზები

აღნიშნულ შეხვედრებში სულ 143 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა და შეავსო სპეციალური კითხვარი

განხორციელებული აქტივობები

ამომრჩევლის სამოქალაქო განათლების ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით გამოიკითხა 143 ახალგაზრდა



ასაკობრივი ჯგუფი

- გამოიკვეთა ახალგაზრდების პასიური მონაწილეობის და ნიჰილისტური განწყობის ძირითადი მიზეზები: არაინფორმირებულობა, იმედგაცრუება, სიზარმაცე, საარჩევნო კულტურის არქონა და არცოდნა რამდენად მნიშვნელოვანია მათი ხმა



განხორციელებული აქტივობები

ტრენინგის მასალების გამოყენებით შეიქმნა და დაიბეჭდა საინფორმაციო ფლაიერი, რომელიც გავრცელდა თბილისსა და რეგიონებში გამართული შეხვედრების დროს.

სად შეგიძლიათ გვიპოვოთ

ინფორმირებული ამომრჩეველი

ინფორმირებული ამომრჩეველი

გმადლობთ

პროექტი *„ინფორმირებული ახალგაზრდები სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის“*
განხორციელდა სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ ფინანსური მხარდაჭერით.